დანართი №6

განსაზღვრულია

ფაკულტეტის საბჭოს 2024 წლის 27 სექტემბრის #9 ოქმით

დამტკიცებულია

სადისერტაციო საბჭოს 2024 წლის 20 ნოემბრის #4 გადაწყვეტილებით

სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი განხილვის მოსამზადებელი ეტაპები

1.დასკვნაზე მუშაობისას დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა ზედმიწევნით უნდა გაითვალისწინოს „დოქტორანტის ინსტრუქციის“ პირველსა და მეორე თავებში განსაზღვრული სტანდარტები და მასთან შესაბამისობის თვალსაზრისით შეაფასოს ნაშრომი.

2.სადისერტაციო ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გრამატიკული და სტილისტური შეცდომების გარეშე; ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს „დოქტორანტის ინსტრუქციის“ ყველა მოთხოვნას, მათ შორის, იმ მოთხოვნებსაც, რაც დაკავშირებულია ტექნიკურ, სტრუქტურულ და შინაარსობრივ საკითხებთან.

3. დასკვნაში უნდა შეფასდეს, თუ რამდენად შეესაბამება ნაშრომის თავებსა და ქვეთავებში მოცემული ინფორმაცია შესავალში დასახულ მიზნებსა და ამოცანებს;ამასთან, საფუძვლიანადდასაბუთდეს ნაშრომის მეცნიერული სიახლე, დარგის განვითარებაში წვლილის შეტანის საკითხი და მართლმადიდებლურ სწავლებასთან ზედმიწევნითი თანხვედრა.

4. თუკი ნაშრომი აკმაყოფილებს დებულებით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას, დოქტორანტის ხელმძღვანელის დასკვნაში ხაზგასმით უნდა იყოს აღნიშნული, რომ წარდგენილ სადისერტაციო ნაშრომს შეიძლება მიეცეს შემდგომი მსვლელობა. ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, აუცილებელია დაფიქსირდეს მათი არსებობა/შინაარსი და ნაშრომი გადამუშავებისათვის უკან დაუბრუნდეს დისერტანტს.

5.ხელმძღვანელის მიერ დადებითი დასკვნის წარმოდგენის შეთხვევაში, ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე.